



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 დეკემბერი 2024



N 682/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. ნარეკვავის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ნარეკვავის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (ავარიული უბანი) მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ნარეკვავის ხეობაში, სოფ. ნატახტარის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე, სადაც წყალდიდობის დროს იტბორება სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ კუთვნილი და მიმდებარე ტერიტორიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, რაც გულისხმობს მდ. ნარეკვავის კალაპოტის გაწმენდა-გასწორხაზოვნებას და ნაპირის გვერდითი ეროზიისგან დასაცავად ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორიის საერთო სიგრძე, სადაც გათვალისწინებულია მდ. ნარეკვავის კალაპოტის გაწმენდა, შეადგენს 590 მეტრს და მისი საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-475864.354, Y-4638434.321; X-476152.099, Y-4638144.326, ხოლო მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება დაგეგმილია ამავე მონაკვეთის ერთ უბანზე, 1+85 და 2+30 პიკეტაჟებს შორის, რომლის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-475989.005, Y-4638365.992; X-475977.401, Y-4638322.260. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნაპირის გვერდითი ეროზიისგან გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობა წარმოდგენილი იქნება 310 მეტრი სიგრძის გაბიონის კედლის სახით და იგი განთავსდება შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-475864.354, Y-4638434.321; X-475984.645, Y-4638246.424. საპროექტო გაბიონის კედელი აიგება 310 ცალი 1.5 x 1.0 x 1.0 მეტრიანი და 155 ცალი 2.0 x 1.0 x 1.0 მეტრიანი გაბიონის ყუთებით და 207 ცალი 6.0 x 2.0 x 0.3 მეტრიანი გაბიონის ლეიბით, რომლებიც დამზადდება ქარხნული წესით, 2,7 მმ სისქის გალვანიზებული მავთულით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი/საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 173 მეტრით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების საწყის ეტაპზე, მდ. ნარეკვავის კალაპოტის გაწმენდა-გასწორხაზოვნების მიზნით, დაგეგმილია გრუნტის ექსკავატორით დამუშავება და მდინარის მარცხენა ნაპირზე ნაყარი დამბის მოწყობა. შემდგომ ეტაპზე დაიწყება ნაპირსამაგრი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები, რისთვისაც საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა გეოტექსტილი და განთავსდება გაბიონის ლეიბები და ყუთები. ნაპირსამაგრი სამუშაოების ბოლო ეტაპზე მოხდება მდ. ნარეკვავის კალაპოტიდან ამოღებული მასალით ძველი კალაპოტის შევსება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება ექსკავატორი, ბულდოზერი, ტრაქტორი, მისაბმელი სატკეპნი და ორი ავტოთვითმცლელი. ნაპირსამაგრი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს და დასაქმდება დაახლოებით 10 ადამიანი.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ნარეკვავის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ნარეკვავის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 41 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი – 277 კმ<sup>2</sup>. სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. ნარეკვავის 1%-იანი უზრუნველყოფის ხარჯი შეადგენს 439 მ<sup>3</sup>/წმ-ს. საპროექტო უბანზე მდ. ნარეკვავის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 2,96 მეტრის, ხოლო კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 4,7 მეტრის ტოლია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული ტექნიკა. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. დოკუმენტის თანახმად, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი და ამასთან, დაგეგმილი სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ნარეკვავისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი, ხოლო ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვება შესაბამის კონტეინერებში. ნაპირდაცვითი სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, საპროექტო უბანზე გამოვლენილი იქნა გრუნტების სამი სახესხვაობა: სგე 1 – თიხნარი რუხი ფერის, სუსტად ტენიანი, მკვრივ პლასტიკური; სგე 2 – თიხა მუქი რუხი ფერის, ტენიანი, მკვრივ პლასტიკური; სგე 3 – კენჭნარი საშუალო და წვრილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით და კაჭარის ჩანართებით 10%-მდე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. საშიში გეოლოგიური პროცესებიდან აღინიშნება ნაპირების ინტენსიური წარეცხვა და შეტბორვა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საკვლევ არეალში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ცხოველთა ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით,

აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. მდ. ნარეკვავის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომლის ძირითადი ამოცანაა მდინარის გვერდითი ეროზიის პრევენცია და მიმდებარე ტერიტორიების დაცვა.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,**

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. ნარეკვავის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



